



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 269

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, აიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის“ დირექტორის 23.03.2016 წლის №7182/01 და 25.03.2016 წლის №7435/01 მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა, განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის №57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ მიერ დადებული 22.03.2016 წლის №348 და 17.05.2016 წლის №731 დასკვნების საფუძველზე.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლით, პირობებით/

სარგებლობაში გადასაცემი ქონების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	სარგებლობაში გასაცემი ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	წლიური საიჯარო ქირა	საჯარო რეესტრის ამონაწერი №
1	2	3	4	5	6	
1	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	პარკის შესასვლელში კოლონადების მარჯვნივ არსებული ფართი	11.0 კვ.მ.	1200 ლარი	03.05.26.054
2	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	პარკის შესასვლელში კოლონადების მარცხნივ არსებული ფართი	11.0 კვ.მ.	1200 ლარი	03.05.26.054
3	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	ატრაქციონი „ორბიტა“		1600 ლარი	03.05.26.054
4	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	ატრაქციონი „საბავშვო მატარებელი“		2000 ლარი	03.05.26.054
5	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	3 ერთეული ჩოგბურთის მაგიდა		130 ლარი	03.05.26.054
6	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	ატრაქციონი „ავტოდრომი“		3500 ლარი	03.05.26.054
7	მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი	თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1	ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი	1 კვ.მ.	10 ლარი	03.05.26.054

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი